ხუთშაბათი, 18 ოქტომბ. 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი—№ 228

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით ტფილისში—75 კაპ. ტფილისს გარედ—80 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ ღირს 3 მან.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები. [illegible] წერილობით პასუხისათვის საჭიროა [illegible] მარკები. პირადად მოლაპარაკება [illegible] ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

ნინო ტერ-დავითის ასული, გარეგინ ტერ-იოსების ძე, მარიამ გრიგორის ასული, გრიგორ და ისაი ამირალიანცები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროვოდ ტრაგიკულად გარდაცვალებას: პირველი—საყვარელ მეუღლის, მეორე—ძვირფას მამის, ხოლო მესამენი—დაუვიწყარ ძმის ქუთაისის სომეხთა წმ. გიორგის ეკლესიის დეკანოზის

**იოსებ ამირალიანცისას**

გამოსვენება სომეხთა წმ. გიორგის ეკლესიაში იქნება 20 ოქტომბერს, ხოლო დაკრძალვა 21-ს. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 5 საათზე. (1—კვ.—1)

თავ. იოსებ ალექსანდრეს ძე ჯანდიერი გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფას ძმის

**თავ. სიმონ ალექსანდრეს ძის ჯანდიერისას.**

გამოსვენება 18 ოქტომბერს, სოფ. ვაჩნაძიანში (თელ. მაზრა). (1—6.—1)

მწუხარებით აღსავსე მარიამ გიორგის ასული, მარიამ ალექსანდრეს ასული, ივანე, მიხეილ და ბენიამინ, ანნა, ბარბარე, მელანია და ნატალია იოსების ძენი და ასულნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროვოდ გარდაცვალებას პირველი საყვარელ შვილისას, მეორე ქმრისას დანარჩენნი საყვარელ ძმისა და უკანასკნელი მაზლისის

**ევგენი იოსების ძის ინდუაშვილისას**

პანაშვიდი ყოველ დღე ნაშუადღევის 12 საათზე. და საღამოს 6 საათზე. ელისაბედის ქ. 17. ცხედარს გამოასვენებენ 18 ოქტომბერს დილის 10 საათზედ წმ. ნიკოლოოზის ეკლესიაში. დაასაფლავებენ პეტრე-პავლეს სასაფლაოზედ. (3—363—2)

პლატონ და დავით ბესარიონის ძენი ხელთუფლიშვილები დებით დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობებს ძვირფას დედის

**ფეოდოსია ფირანის ასულის ხელთუფლიშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე 12 და 5 ½ საათზედ. გამოსვენება პარასკევს, 19 ოქტომბერს, დილის 9 საათზედ. (3—6—1)

## იაროსლავის მაღაზიაში

გოლოვინის პროსპექტი, სახაზინო თეატრის მახლობლად, „ბოიარსკის“ სასტუმროს პირდაპირ, სახლი სტეფანოვისა.

19 ოქტომბრიდან

**15 დღით**

ესე იგი

19, 20, 22, 23, 24, 25, 26, 27, 29, 30 და 31 ოქტომბრისა 1, 2, 3 და 5 ნოემბრისათვის დანიშნულია

## დიდი იაფობა

ზემოხსენებულ დღეებში გაიყიდება აუარებელი სასეზონო საქონელი: სახელდობრ: შალის მატერიები. ფერადი ბამბაზია. ტილოს და სასალფეთკო საქონელი. დამზადებული საცვალი, ჩულქები დაწინდები

შემთხვევით შეძენილი ფირმის მიერ მეტად იაფად.

| | |
|---|---|
| პარტია შალის საქონლისა არშ. 55 კ.-დან | წმინდა ტილო საცვლებისა არშ. 24 კ-დან |
| პარტია ფერად ბამბაზიასი არშ. 15 კ.-დან | ტილო პირსახოცებისათვის არშ. $7\frac{1}{2}$ კ-დან |
| პარტია თბილ საბნებისა ცალი 2 მ. 60 კ-დან | მიტკალი საცვლებისათვის არშ. $23\frac{1}{2}$ კ-დან |
| პარტია ფერად ფუდიარისა არშ. $12\frac{1}{2}$ კ-დან | პარტია წინდებისა წყვილი 20 კ.-დან. |

(1—366—1)

პ. დოროჟკოვი.

## კახური ღვინო

პირველ ოქტომბრიდან ახლად გაიხსნა კახური ღვინის სარდაფი კახელ მევენახეთა

**თავ. ჯანდიერისა და არღუთინსკი-მხარგძელისა,**

სადაც ღვინის მომხმარებელთ ზომიერ ფასად შეუძლიანთ მიიღონ ნამდვილი კახური საუკეთესო ღვინო, ნამდვილი ყურძნის ნაწური. დარწმუნებულნი ვართ, რომ მომხმარებელნი კმაყოფილნი დარჩნენ.

სარდაფი მდებარეობს ქალაქ ტფილისში, ველიამინოვის ქუჩაზედ, აირუმოვის სახლში, № 7 „ვეღის-ციხე“.

უმორჩილესად ვთხოვთ ღვინის მომხმარებელთ, ყურადღება მიაქციონ ეტიკეტს. (21—343—5)

ექიმი

**ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათამდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი

**ი. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.-უ—00)

დოქტორი მედიცინისა

**გ. გ. გურგენოვი**

ყოფილი საშტატო ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის საქალო ავადმყოფობისა და ბებიაობის კლინიკისა გადმოვიდა გოლოვინის პროსპ., № 12 საარტისტო სახ. თეატრის პირდაპირ. ავად მყოფების მიღება 12—2 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. (25—355—5)

კბილის ექიმი

**ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (64)

ექიმი

**პ. ს. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალებიით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—$11\frac{1}{2}$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ქ. ქუთაისში

**ექიმი ი. ი. ჩარექოვი**

იღებს განსაკუთრებით ვენერიულ, ხიფილისიან და კანით ავადმყოფებს. სწამლობს მუწუკებს, ძირმაგრებს, ბუბონებს და სხ. უოპერაციოდ პროფ. ბიერის მეტოდი. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (27—ფ.—12)

ქუთაისში

კბილის ექიმი ქალი

**ე. დ. ნასარიძე**

იღებს ავადმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (346)

ექიმი ქალი

**ს. ზ. მირზოევისა**

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ-დღე გარდა შაბათობით $1\frac{1}{2}$—$2\frac{1}{2}$ სოლოლაკის ქუჩა № 6. (25—364—2)

ელექტრონის და რენტგენის სამკურნალო კაბინეთი

**მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (26—6.—25)

კბილის ექიმი

**ს. გ. როგავაშვილი**

მიიღებს კბილებით ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდის და საღამ. 4—6 საათამდის. მუხრანის ქუჩა № 11. ქალაქის სამკურნალოს გვერდით. (25—ბ.—24)

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25- (0—201)

თვალის ექიმი

**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 6—7 ს. ვერა ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (30—345—1)

წ.-კითხვის საზოგ. მაღაზიაში და ქ. ამხ. კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიასთან) იყიდება ახალი წიგნი

## ნაშრომი

(№ 2)

შინაარსი: „ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე“. (წერ. მ. ჯანაშვილისა).—საგურამოში: თავ. ი. გ. ჭავჭავაძის უკანასკნელი დღეები (წერ. არტურ ლეისტისა).—საქართვ. მწერლობის და ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის მოკლე განხილვა (წერ. ოკსფორდის უნივერს. პროფეს. მორფილისა).—ურბნისის სახარება ტიშენდორფისეულ მეოთხე საუკ. სახარებასთან შედარებით (წერ. მ. ჯანაშვილისა).—ფასი 20 კაპ. (3—უ.—1)

ცნობილი

## ქალთა სამკერვალო

„SALON MODES“

სოლოლაკში, სერგეევის ქუჩაზე № 1—9 განაგრძობს თავის მოქმედებას. ღებულობს შესაკერად ყოველ-ნაირ ქალის-ტანისამოსს, იყვანს მოწაფეებს და ასწავლის ჭრა-კერვას და ქარგვას.

სამკერვალო შესდგება იმავე ოსტატებისაგან.

გამგედ სამკერვალოისა არიან: უფროსი ოსტატი ქალ. ეკატერინე ვაშალომიძის ასული და ქალბ. რაისო თოხაძისა. (25—6.—21)

## ქუთაისში

ვთხოვ პატივცემულ საზოგადოებას, მოითხოვოს ფირალოვის პაპიროსი

„სიმპატია“ და „ინტელიგენტი“,

რომელიც წმინდა „გრაინცის“ საუკეთესო პლანტაციების სუნელოვან თუთუნით არის შეზავებული და პროგრესიულად გაუმჯობესებული.

(10—კვ—7) პატივისცემით მშ. ფირალოვები.

### ტფილისი, 18 ოქტომბერი.

პოლიტიკურს ცას ველევ შაპივით სულის შემხუთავი ბინდი იჭერს. ყრუ, უხმო, მაგრამ უზარმაზარი მაჯლაჯუნა დინჯად აწვება რუსეთის გულს და მაჯის ცემის შეჩერებას უქადის. რაც აქამდე ხელოვნურად და თვალთმაქცურად იყო დაფარული საარჩევნო ხვრელებში, ეხლა მედიდურად წელში იშლება; მკვახედ, გამჭინავის თვალებით აცქერდება რუსეთის მშრომელ ხალხს ზემოდან და უხმოდ დაჰხარხარებს იმის იმედების გაცრუებას, იმის დაბეჩავებას. საყოველთაო პოლიტიკურ აფრთოვანების შედეგ იწყება მძიმე, სევდიანი სიჩუმე.

რუსეთის სხვა და სხვა მხრიდან მოსულის ცნობებით 327 არჩეულ დეპუტატთაგან უკვე 254 კაცი ოქტომბრისტები და მათზე მარჯვნივ მდგომნი არიან; ოპოზიცია კი, ერთად რომ ვიანგარიშოთ კადეტები, სოციალისტური პარტიის მიმდევარნი და ნაციონალისტები, სულ სამოცი კაცისაგან შესდგება. მომავალ სათათბიროში 442 წევრი უნდა იყოს, მაშასადამე რეაქციონურ და კონსერვატორულ დეპუტატების უმრავლესობა უკვე უზრუნველყოფილია; მორჩილი და ყურმოჭრილი სათათბირო, რასაც ასე ნატრობდა მმართველობა დღიდან ოქტომბრის მანიფესტის გამოცხადებისა, უკვე რეალური ფაქტია. „საკანონმდებლო მუშაობა“ უკვე ჩაყენებულია იმ კალაპოტში, რომლის დასაწყისიც ბიუროკრატების რკინის კარ-ფანჯრიანი კაბინეთები და დეპარტამენტებია, ხოლო დასასრული კი შეძლებულ კლასების უძირო ჯიბე. ოფიციოზური პუბლიცისტიკა აცხადებს, კონსტიტუცია იმას კი არ ჰქვიან, რაც ძირითად კანონებში სწერია, არამედ იმ წყობილებას, რომელიც ფაქტიურად არსებობსო. ფაქტიურად, საგანგებო დაცვის წესების საფუძველზე, როგორც ყველანი ჩვენს საკუთარს ზურგზე განვიცდით, სრულიად გაქარწყლებულია ოქტომბრის მანიფესტის რეალური მნიშვნელობა. მაშასადამე, მმართველობის ყურმოჭრილი უმრავლესობა მომავალის პარლამენტისა სწორედ იმ მიმართულების ხაზზე იმუშავებს და იკანონმდებლებს, რომ იურიდიულად დააკანონოს ხალხის მიერ სარევოლიუციო ხანაში მოპოვებულ უფლებათა ფაქტიურად ფეხ-ქვეშ გასრესა.

ხშირად ამბობენ და სწერენ, 1903 ან 1904 წელს ვერავინ ვერ ჰხედავდა, ვერავინ ვერ იწინასწარმეტყველებდა იმას, რაც რუსეთში 1905 წელს მოხდაო. ამაზე ნაკლები სიმართლე არაა ის, რომ ვერც ვერავინ 1905 წლის ოქტომბერში იწინასწარმეტყველებდა რეაქციის ეხლანდელს უზომო ზრდას და გამარჯვებას. მაშინ თითქოს მთელი რუსეთი შეერთდა ერთ მუშტა ბიუროკრატების და მსხვილ მემამულეების წინააღმდეგ. საყოველთაო პოლიტიკურმა გაფიცვამ მთავრობის დაწესებულებათა კედლებსაც კი გაატანა და „ძირითად რეფორმისადმი“ მოწოდება იქაც კი მედგრად იმოერებდა მრავალს მაღალხარისხოვან მოხელეს. ვინ იფიქრებდა მაშინ, ვის მოუვიდოდა აზრად, რომ გაფიცვის გამარჯვებისათანავე ისეთი ღრმა გათიშვა დაიწყებოდა ოპოზიციისა მოწინააღმდეგე ელემენტებად რომ ძლეული და დამარცხებული მმართველობა საჩქაროდ ისევ სულს მოიდგამდა და ასე მალე სასტიკად გასთელავდა ფეხით ხალხის ახალ უფლებებს.

დიახ, ეს ძნელი მოსალოდნელი იყო, ხოლო თუ მაინც ესე მოულოდნელად დატრიალდა რუსეთის პოლიტიკური ჩარხი, ამისი ძირითადი მიზეზი ისაა, რომ ჯერ კიდევ საკმაო შეგნებული და გათვითცნობიერებული არ ყოფილა რუსეთის დემოკრატია. ეს შინაგანი ჰსიხიური ხასიათის მიზეზია, გარეგნულად კი იმისი უმნიშვნელოვანესი გამოხატულება ტეხნიკური მოუმზადებლობა რეაქციის ძალებთან ბრძოლისთვის.

ისტორიამ განმეორება არ იცის, ეს მართალია, მაგრამ ისტორია მომავლის გაკვეთილია და მისი გაკვეთილით უნდა ისარგებლონ იმათ, ვისაც ჯერ დამბლა არ დაჰმართვია ეხლანდელ რეაქციის პარპაშის გამო.

## ახალი ამბავი

✦ **სალიტერატურო საღამო.** 27 ოქტომბერს, ილია ჭავჭავაძის ქდაბადების დღეს, როგორც უკვე ვწერდით, წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა, საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში, გამართავს სალიტერატურო და სამუსიკო საღამოს. მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ეკ. გაბაშვილისა, დ. ერისთავისა-განდეგილი, ნ. ჩხეიძე, ს. რომანიშვილი, ბ-ნნი არ. ლეისტი, ს. მგალობლიშვილი, ევდოშვილი, ტომაშევიჩი, ცხომელიძე, კ. მაყაშვილი, დ. ნახუცრიშვილი, გ. ანანიაშვილი, იმედაშვილი, ფილარმონიულ საზოგადოების ხორო ბ-ნ ფალიაშვილის ლოტბარობით. სხვათა შორის, წაკითხული იქნება ილიას ავტობიოგრაფია და მოგონებანი იმის შესახებ და, გარდა უკვე ცნობილ ლექსებისა, ახალი ჯერ არ დაბეჭდილი ლექსები და ნაწყვეტები „აჩრდილიდან“ და „კაკოდან“ (ლუარსაბ თათქარიძე და მისი შვილი გოლა). დასასრულ გაიმართება აპოთეოსი. ამავე დღეს მსგავსი საღამოები გაიმართება ბათუმსა, ბაქოსა, ქუთაისსა, ოზურგეთსა, ქიათურასა, გორსა, თელავსა და სხვაგან. შემოსავალი ამ საღამოებისა გადადებულია ილიას ფონდის გასაძლიერებლად.

✦ **სატუსაღოდან გაქცევა და მკვლელობა.** თელავიდან გვწერენ: 14 სექტემბერს, დილის 2—3 საათზე, ადგილობრივ სამაზრო ციხიდან ოთხ პატიმარს გაქცევა მოუწადნიათ. გამოუთხრიათ კამერიდან კედელი, გამომძვრალან და სახურავზე ადენილან. როცა სახურავზე ასულან, ხმაურობაზე შეუმჩნევია დარაჯს და დაუძახნია, ვინა ხარო. პასუხი არ მიუღია და უსროლია. ერთი მაშინვე იქვე მომკვდარა, მეორე მძიმედ დარჭილა, მხოლოდ დანარჩენთ ასვლა ვეღარ მოუსწრიათ. ესენი ხევსურები და თუშები ყოფილან. ერთს ამათგანს გადასახლება ჰქონია გადაწყვეტილი ვიატკის გუბერნიაში, ხოლო სხვები ტფილისში — სასამართლოში ყოფილან დაბარებულნი და იმავე დღეს დილით მიმავალ ეტაფით უნდა გაეგზავნათ თურმე.

✦ **დაპატიმრება.** 16 ოქტომბერს პოლიციამ დააპატიმრა რაჭის მაზრის მცხოვრები გრამიტონ დვალი, რომელსაც ჯიბეში რევოლვერი აღმოაჩნდა. დვალი ხუდადოვის დუქანში შესულა და, პოლიციის ცნობებით, ფული მოუთხოვნია. ხუდადოვს დვალისათვის ერთი მანეთი მიუცია. დაპატიმრებული საკომენდანტო სამართველოში გაგზავნეს.

✦ **დაჭრა.** 16 ოქტომბერს ვიღაცას მალაკნის ქუჩაზე რევოლვერით დაუჭრია სახლის პატრონი ნიკოლოზ მარკოზოვი. მსროლელი მიიმალა.

✦ **ახლად ჯარში გაწვეულნი.** 15 ოქტომბერს, როგორც ვწერდით, დაიწყო მუშაობა ქალაქის სამხედრო საქმეთა საკრებულომ. გამოცხადდა 705 ყმაწვილი კაცი. კენჭის ამოღება დამთავრდა 16 ოქტომბერს. გუშინ, 17 ოქტომბრიდან, ექიმები შეუდგნენ ყმაწვილ კაცთა შემოწმებას.

✦ **თათბირი.** ხვალ, 19 ოქტომბერს, ტფ. ქალაქის საბჭოს დარბაზში კერძო თათბირი ექნებათ ხმოსნებს. უნდა მოილაპარაკონ ქალაქის თავის კანდიდატის შესახებ.

✦ **ახალი წიგნი.** დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი წიგნი „ნაშრომი“ № 2 შემდეგის შინაარსით: „ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე“, წერ. მ. ჯანაშვილისა. საგურამოში: „თ-დ. ი. გ. ჭავჭავაძის უკანასკნელი დღეები“, წერ. არტურ ლეისტისა. „საქართ- მწერლობის და ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის მოკლე განხილვა“, წერ. ოქსფორდის უნივერს. პროფეს. მორფილისა. „ურბნისის სახარება ტიშენდორფისეულ მეოთხე საუკუ. სახარებასთან შედარებით“, წერ. მ. ჯანაშვილისა. წიგნი სუფთად არის გამოცემული და ღირს ერთ აბაზად.

✦ **ვაკეს შემოერთება.** ტფ. ქალაქის საბჭომ, როგორც მკითხველებს ეხსომებათ, დიდის გაჭირვებით მიიღო წინადადება „ვაკის“ შემოერთების შესახებ. მას შემდეგ ოთხი-ხუთი თვე გადის და ჯერ თითქმის არა გაკეთებულა-რა. ქართულ გიმნაზიის გვერდით ჩაუდის ხევი, რომელზედაც დღემდე ხიდი არ არის გაკეთებული, რის გამოც იმოდენა ადგილი მოწყვეტილია ქალაქს. ხიდის საძირკველი თავის ხარჯით ამოიყვანა გიმნაზიის აღმშენებელმა კომისიამ. როგორც იქმნა, ქალაქის გამგეობამ ამ დღეებში გადასწყვიტა ამ ხიდის დასამთავრებლად გადასდოს **5100** მან. როდის განხორციელდება ეს საქმე, ალაჰმა უწყის.

✦ **ტფ. გენ. გუბერნატორის განკარგულებანი.** ტფ. გუბერნიასა და ზაქათალის ოლქში ცხოვრება აეკრძალათ პროვიზორის თანაშემწეებს ვალერიან ჯაშს და თედო ქურციძეს და აფთიაქის შეგირდს ვლ. კამენიკოვს. სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის გადაუწყვიტეს დაპატიმრება: ორი თვით—რაქველს ბიჭია ერაძეს და სამი თვით—გ. მესიანცს. ნომრების არ ქონისთვის ერთი თვით დაპატიმრება გადაუწყვიტეს ტრამვაის კონდუქტორს აკუნის.

✦ **ქალაქის საბჭო.** ტფ. საბჭოს დღეს განსახილველად აქვს შემდეგი საქმეები: წინადადება გუბერნატორისა ბირჟის ეტლებზე განსაზღვრულ ნიხრის დაწესების შესახებ, საჩივარი ქალაქის გამგეობაზე ბეითალის ვართანოვისა სამსახურიდან დათხოვნის გამო, საჩივარი უსახელო საზოგადოებისა გამგეობაზე საზოგადოების დაჯარიმებისა გამო და სხვა, სულ 11 საქმე.

✦ **ახალი კლუბი.** კვირას, 21 ოქტომბრისათვის, საღამოს 7 საათზედ, თავად-აზნაურთა მამულების გამგეობის სადგომში, სასახლის ქუჩაზედ, დანიშნულია ტფილისში ახალ კლუბის დამაარსებელთა კრება. წესდება კლუბისა უკვე დაამტკიცეს. წესდების განხილვის შემდეგ უნდა აარჩიონ გამგეობის წევრნი.

✦ **ფულის გატაცება** თელავიდან გვატყობინებენ: 15 ოქტომბერს შუადღისას მელოგინეთა კასის ხაზინადარს მღვდელ მათეოსიანცს ხაზინიდან ფული მიჰქონდა კასის გამგეობაში წევრთათვის დასარიგებლად. ხიდის იქით, ბაზარში, დახვდნენ ვიღაც უცნობები, რევოლვერით დასჭრეს მკლავში, ხოლოდ ხელში—მჭრელ იარაღით, წაართვეს 1005 მანეთი და მიიმალნენ. პოლიცია ფეხზე დადგა და შეუდგა ბოროტმოქმედთა აღმოჩენას.

✦ ხვალ, 19 სექტემბერს, სახალხო უნივერსიტეტის სომხთა სექცია დაიწყებს სახალხო ლექციების კითხვას სომხთა ნერსესიან სემინარიის სადგომში სომხურს ენაზე.

✦ 16 ოქტომბერს, დილის 9 საათზედ, გოლოვინის პროსპექტზე, უზლანერის ვეფცხლეულობის მაღაზიაში შესულა ორი შეიარაღებული უცნობი და დაუწყიათ საათების სინჯვა. ერთმა უცნობმა უზლანერს წაუჭირა ყელში ხელი და საათის ამოცლა მოუნდომა. უცნობებმა ვერ მოასწრეს გაძარცვა და მიიმალნენ.

✦ თუმანოვის ქუჩაზე ნაშუადღევის 2 საათზედ ეტლით მინავლებულა 4 უცნობი შეიარაღებული კაცი, რომელთაც მეეტლის ბეგლდინოვისათვის გულზე რევოლვერი დაუჭერიათ და მოუთხოვნიათ ფული. მძარცველებს მეეტლისათვის 5 მან. 20 კ. წაურთმევიათ და მიმალულან.

✦ პოლიციის მე-9 ნაწილში ყიფიანის ქუჩაზე 16 ოქტომბერს საღამოთი ივანე მაკაროვმა მთვრალმა დაჰკრა ეკატერინე სოფონოვისა. სოფონოვისა უგრძნობლად გაჰგზავნეს საავადმყოფოში.

—

**შეცდომის გასწორება.** გაზ. „ისარ“-ში დაიბეჭდა ამას წინად წერილი „ილიას სიკვდილის გამო“. ამ წერილში აწყობის დროს ერთი შეცდომა შეპარულა, რომელიც აზრს ამახინჯებს. ამავე შეცდომით წერილი გადაუბეჭდიათ „ილია ჭავჭავაძის“ კრებულშიც. შეცდომა შემდეგია: უნდა იყოს: „**ბრმად ნუ შევხედავით საკითხს**“. გაზეთსა და კრებულში კი დაბეჭდილია: „**ღრმად ნუ შევხედავთ საკითხს**“.

# პრესა

უმაგალითო ოსტატები ბრძანდებიან „ჩვენი გზის“ გზა-დაბნეული პუბლიცისტები. ციბრუტივით ტრიალებენ და საითაც უნდა გადაცვივდნენ, ყოველთვის ალჩუზე ჯდებიან. სოციალდემოკრატიის ეხლანდელ არჩევნებზე გამარჯვებას ტფილისის და ქუთაისის გუბერნიაში ჩვენი გაზეთის მეთაური წერილი იმით ჰხსნიდა, რომ სოციალდემოკრატია პარტიულად დარაზმული და ამიტომ ძლიერია და რომ მას საარჩევნო ბრძოლის ასპარეზზე შეებნენ გაფანტული და დაქსაქსულნი წარმომადგენელნი შეძლებულ კლასებისა. აქედან ცხადად სჩანს, რომ ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვაწერთ საარჩევნო ბრძოლისთვის პარტიულ ორგანიზაციას. ჩვენის აზრით, ჩვენებურს სოციალდემოკრატებს მათმა ორგანიზაციამ უფრო მეტი ძალა მისცა, ვიდრე ჩვენებურ შეძლებულ კლასებს 3 ივნისის კანონმა შესძინა საარჩევნო უპირატესობათა მინიჭებით.

არ გვესმის, რატომ, მაგრამ „ჩვენი გზის“ პუბლიცისტები მაინც ყირა-ყირა გადადიან. მაშ განა ს.-ფედერალისტები ჩვენ არ გვებრძვიანო?—დიაღ, გებრძვიან, სასტიკად გებრძვიან და არც ტყუილად გეშინიანთ ს.-ფედერალისტების ბრძოლისა, მაგრამ ეხლანდელ არჩევნებზე სოც.-ფედერალისტები სულ არ გამოჩენილან და არც საარჩევნო ბრძოლა გაუმართავთ თქვენთან. ვითომ, დაგავიწყდათ თუ?—დაუჯერებელი გულმავიწყობა გცოდნიათ, დალოცვილებო!

ჩვენს მეთაურ წერილში საზოგადოდ აღნიშნული იყო, რომ სოც.-დემოკრატებს პარტიულის ორგანიზაციით ჩვენში მხოლოდ სოც.-ფედერალისტები ებრძვიან და რომ ამ ბრძოლის ღერძს შრომის ინტერესები არ შეადგენსო. „ჩვენი გზის“ პუბლიცისტები მახინჯად იღმანჯებიან და აცნობებენ თავის მკითხველს ვითომ ჩვენს აზრს: „მარა ეს (ბრძოლა სოც.-ფედრალისტებისა) თურმე ანგარიშში ჩასაგდები არ არის, რადგან ეს ყოფილა ბრძოლა შინაური, ოჯახური დავა სოციალისტებ შორის. რაც შეეხება ბურჟუაზიულ და თავადაზნაურ ელემენტებს, ესენი თურმე სულ გაჩუმებული, გულხელ დაკრეფილნი ყოფილან პოლიტიკურ ორგანიზაციის უქონლობის გამო“. ეს ციტატა პირდაპირ სანიმუშოდ შეიძლება ჩაითვალოს. როგორც მოიპრიანებენ, ისეთ კუდს გამოაბმენ თქვენ სიტყვებს. სოციალისტ ფედრალისტებს საარჩევნო ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღიათ, ამიტომ ჩვენს წერილში ამაზე ხმაც არ ამოგვიღია. „ჩვენი გზა“ კი გაიძახის, ვითომ ჩვენ ეს ბრძოლა ანგარიშში ჩასაგდებად არ მიგვაჩნდეს. ჩვენ ვთქვით, რომ თუ ეხლანდელ საარჩევნო წესის მიუხედავად თავად-აზნაურულმა და ბურჟუაზიულმა ელემენტებმა მაინც ვერ გაიმარჯვეს სოციალ-დემოკრატებზე, ამისი მიზეზი პარტიულ ორგანიზაციის უქონლობააო. „ჩვენი გზა“ კი ბრძანებს ვითომ ჩვენის აზრით არჩევნებში ამ ელემენტებს „გულხელი დაეკრიფოთ“ და „გაჩუმებული“ ყოფილიყვნენ. რას გააწყობს ასეთ, უკაცრაულ პასუხია, პუბლიცისტებთან აზრი, სიტყვა და კალამი!

ყველაზე უმშვენიერესი მარგალიტი კი ისაა, რომ სოციალ-დემოკრატების პუბლიცისტებმა ჩვენს ანალიზში დაინახეს მოწოდება ბურჟუაზიისა დარაზმვისაკენ, „რათა მომავალ არჩევნებში მაინც არ დარჩნენ ხელცარიელნი“. საბრალო პუბლიცისტები! მათ ყველგან აგიტაცია და პროპაგანდა ელანდებათ, რადგან თვით მათ მეტი არაფერი ძალუძთ.

* * *

ცნობილი ენგელგარდტი „ნოვ.-ვრ“.-ში არკვევს მომავალ მესამე სათათბიროს ლოზუნგსა და იმ პლატფორმას, რომელმაც უნდა შეაერთოს რუსი დეპუტატების ყველა კლასები. „რუსებს უნდა მიეცეს ყოველნაირი პოლიტიკური და მოქალაქობრივი უფლება, არარუსებს კი—არავითარი“, აი შინაარსი მომავალ სათათბიროს ლოზუნგისა. ავტორის აზრით, უკვე ცხადად დამტკიცდა, რომ

> რუსეთის პარლამენტის ქვემო პალატა არც კლასიური იქნება, არც წოდებრივი და არც სახელმწიფოებრივი-პოლიტიკური. იგი იქნება მხოლოდ ეროვნული. სათათბიროში რომ მარტო რუსები შეკრებილიყვნენ, სათათბირო გადაიქცეოდა კოსმოპოლიტად და ყველა ეროვნებათა დამცველად. მაგრამ „ინოროდცები“ მყვირალა, გაბოროტებული და შეურისმაძიებელი ნაციონალისტები არიან. პოლონელი, სომეხი, ქართველი, ლატიში, თათარი და ებრაელი—ყველანი ფანატიკოსი ნაციონალისტები არიან.

ე. ი. სათათბიროში რომ არც ერთი პოლონელი, არც ერთი ქართველი და საზოგადოდ არც ერთი „ინოროდეცი“ არ ყოფილიყო, ჩვენთვის უკეთესი იქნებოდა; რუსები თვითონვე მოგვცემდნენ ეროვნულ თანასწორობას, ეროვნულ სკოლას, უნივერსიტეტს, ერობას და სხ. მაგრამ ჩვენ თვითონვე მოვითხოვეთ ეს უფლებები (ღმერთია მოწამე, რომ საქართველოს დეპუტატებს აჰის შესახებ ხმაც არ ამოუღიათ!), ამიტომ ისევ ჩვენი ბრალი იქნება, თუ ისიც წაგვართვეს, რაც გვაქვს.

> მხოლოდ მაშინ შეიძლება უკუვაგდოთ „ინოროდცების“ იერიში, როცა რუსის ხალხი დაეყრდნობა რუსულ პატრიოტიზმზე. დაცვა რუსის ხალხის წმინდანებისა და უფლებებისა მის მიერ შექმნილ სახელმწიფოში—აი ის ლოზუნგი, რომელზედაც შეიძლება ითქვას: ამით ძლეულ ჰყავ!

„ინოროდცებს“ ნაციონალიზმი იყო და ეხლაც არის ის მთავარი აქტიური ძალა, რომელმაც შეჰქმნა რევოლიუცია“. რევოლიუცია არც იმ შემთხვევაში შეჩერდება, თუ გადაწყვეტილი იქმნება საგლეხო და სხვა საჭირ-ბოროტო საკითხები, რადგან

> განაპირა ქვეყნების ნაციონალიზმი გაუმაძღარია. იგი მიისწრაფის ავტონომიისკენ, პოლიტიკურ დამოუკიდებლობისკენ; მას სურს რუსის ხალხის დაპყრობა და დამონება (?!) მათი წმინდა უფლებების გაბათილება, გათელვა და სამაგიეროს გადახდა იმისთვის, რომ დიდებულმა იმპერიამ გასთელა ქონდრის ხალხის თავმოყვარეობა. მხოლოდ მაშინ მოისპობა ეს ნაციონალიზმი და მასთან ერთად რევოლიუცია, როცა რუსის ხალხი, რუსის საზოგადოება და პარლამენტი წინ დაუყენებენ მას ასეთსავე მედგარს, ძლიერსა და ფოლადივით მტკიცე რუსულ-ეროვნულ პატრიოტიზმს. მხოლოდ მაშინ შეიძლება ითქვას, რომ რევოლიუციას წინ დაუყენეს ძლიერი კედელი, როცა სათათბიროში უმრავლესობა რუსობა იქნება, როცა იგი გაიჟღინთება პატრიოტულ ნაციონალიზმით.

ეს საოცნებო დროც მოვიდა. იგი დადგა 3 ივნისს, ხოლო ნაყოფი გამოიღო ამ დღეებში. სამი მეოთხედი მომავალ სათათბიროსი შესდგება მონარქისტებისაგან, უკიდურეს შოვინისტებისგან, „ჭეშმარიტ რუსებისგან“ და ოქტომბრისტებისგან. ცხრა მეათედიც რუსები არიან. მაგრამ ნაყოფს ნაყოფი მოსდევს: ვნახოთ რას მოისხამს 3 ივნისის კანონი, დამშვიდებასა და „რუსი ხალხის“ უფლებათა გაფართოვებას, თუ ახალ ბრძოლას.

## რუსეთის მინისტრები პარიზში

—

რუსეთის მინისტრები დიდი ხანია მოგზაურობენ პარიზისაკენ. ბევრის მხრივ არის საინტერესო პარიზი მინისტრებისათვის: მხიარული და მომხიბლველი ქალაქია, დიდათ საყვარელი ყოველ-გვარ პამპადურებისათვის. საკომისიო და „პრაგონის“ ფული ხომ ბლომად აქვთ რუსის პამპადურებს და ხარჯვაც ისე არსად არ არის მოხერხებული, როგორც პარიზში, ამ ჩვენის დროის „ბაბილონში“.

მაგრამ მინისტრებს ხშირად უფრო სერიოზული საქმე აქვთ პარიზში გასაკეთებელი: თუმცა თვითონ პამპადურებს ფული არ აკლიათ, ხაზინა სამაგიეროდ ცალიერია ხშირად და, რადგან საფრანგეთი მდიდარია, ფულის სესხებაც იქ უნდა მოხერხდეს. რუსეთის მინისტრებიც გულ-მოდგინედ მოგზაურობენ ექსპრესებით პარიზისაკენ.

კარგა დიდ-ხანს ფულების სესხება ძნელი არ იყო: რუსეთის იმპერია უძლეველ სახელმწიფოდ მიაჩნდათ, საფრანგეთს სწორედ ასეთი ძლიერი მოკავშირე სჭირდებოდა.

გავიდა დრო და აღმოჩნდა, რომ რუსეთის უძლეველობა თურმე ზღაპარი იყო. თან რევოლიუციამაც იჩინა თავი და ფულის პატრონებმა ქისას თავი მოუკრეს. გაჭირდა ფულის შოვნა, გახშირდა მოგზაურობაც.

ამ უკანასკნელ დროს ჯერ ფინანსთა მინისტრი იყო წასული „წყლებზედ საექიმოდ“. მაგრამ მეტი დრო პარიზში დაჰყო, თუმცა მდინარე სენას წყალი

# ფელეტონი

ილია ჭავჭავაძის

**დაუბეჭდავი ლექსები**

როგორც მკითხველს მოეხსენება, განსვენებულ პოეტის ხელნაწერებში აღმოჩნდა რამდენიმე ლექსი, რომელიც ჯერ არსად დაბეჭდილა და აგრეთვე მოთხრობა „კაკო“. ჩვენს გაზეთში დაიბეჭდება ყველა ეს ლექსები და მოთხრობა. დღეს ვბეჭდავთ ორს ლექსს „მთვარეს“ და „რისთვის მიყვარხარ?“

—

**მთვარეს**

მთვარევ! გჭვრეტ მშვიდათ მიცურავ ცაზედ
და შენ მკრთალ სხივთა ჰყრი ქვეყანაზე
და მძინარ სოფელს კამარა ცისა
თვის სიმშვიდითა არ უფრთხობს ძილსა.
ყოველი ჩუმობს გარშემო ჩემსა,
სძინავთ ნიავთა, სძინავთ ფოთლებსა,
ყველა ტკბილ ძილში ბედითა სტკბება,
ყველას მშვიდობა ეალერსება;
და ხოლოთ ჩემი ურვით მოკლული
შემომტირის მე მწუხარეო გული;
მისთვის ხომ არა, რომ ვჭვრეტ სხვა ზეცას,
სხვათა უფერულთ ვარსკვლავთა დენას?
თუ მოაგონდა, რომ ერთხელ მეცა
ეგრეთ დამცქეროდა სამშობლოს ზეცა,
ზეცა სულ სხვაფრად გაბრწყინვებული
და სულ სხვა რიგად დამშვიდებული!..

1858 წელსა, 23 ივნისს.
სოფ. ტიარლევო.

—:—

**რისთვის მიყვარხარ?**

რისთვის მიყვარხარ? მისთვის, რომ ცრემლსა
ჰბადავს ჩემს თვალში ეს სიყვარული,
მისთვის რომ მტანჯველს ჩემ ავსა ბედსა
უფრო სასტიკად ებრძვის ეს გული.
რისთვის მიყვარხარ? მისთვის, რომ შენს თვალს
ჩემ გულის ალი არ უდნობს ცრემლსა,
მისთვის მიყვარხარ, რომ მაძლევ ტანჯვას
და იმ ტანჯვაში სრულ სიცოცხლესა.

1859 წელსა 31 დეკემბერს.
ს.-პეტერბურღი.

## სიცრუე

III

(დასასრული *)

მუქარით და კბილების კრაჭუნით ვთხოვდი:

— მითხარ სიმართლე!

თოვლსავით ცივის სახით და გაკვირვებით აწეულ წამწამებით, საიდანაც ისევ ისეთი უმსჭვირვალი თვალები მოსჩანდა, იგი მეკითხებოდა.

— განა გატყუებ?

მან კარგად იცოდა, რომ იმის სიცრუეს ვერ დავამტკიცებდი, რომ მთელი ჩემი მეცადინეობა სიმართლის ძებნისათვის ერთ იმის ცრუ სიტყვით დაინგრეოდა. ვუცდიდი ამ ცრუ სიტყვას და იგი გამოდიოდა იმის ბაგეთაგან; ეს ცრუ სიტყვა გარედან სიმართლის შუქით ლაპლაპებდა, შიგნიდან კი შავის უკუნეთით იყო მოცული.

— მიყვარხარ! განა მთლად შენი არა ვარ?

ჩვენ ქალაქიდან შორს ვიყავით. ბნელ ფანჯრებში თოვლიანი მინდორი იცქირებოდა. იმის გარშემო სიბნელე იყო, სიბნელე უძრავი, ჩუმი, მაგრამ იგი ბრჭყვინავდა თავის საიდუმლო მუქით, ისე, როგორც მიცვალებულის სახე სიბნელეში. მხოლოდ ერთი სანთელი ენთო ძალზე გამთბარ ოთახში და მოწითანო შუქზე ჰკრთოდი მინდვრის მკრთალი გამონაშუქი.

— როგორი სამწუხაროც უნდა იყოს სიმართლე, მაინც მინდა იმისი ცოდნა! შეიძლება სიმართლის გაგებისათანავე მოვკვდე, ბარემ სიკვდილი სჯობიან სიმართლის უცოდინარობას. შენს ხვეწნა-კოცნაში სიცრუესა ვგრძნობ. შენს თვალებშიაც ვხედავ მას. მითხარ სიმართლე და მე სამუდამოდ მოგშორდები!—ვეუბნებოდი მე.

მაგრამ იგი ჩუმად იყო. იმის ცივად გამმცდელი გამოხედულება ჩემის სულის სიღრმეში ძვრებოდა, მიბრუნებდა მას და საშინელის ცნობის მოყვარეობით სინჯავდა. მე დავიყვირე:

— მიპასუხე, ან არა და მოგკლავ!

— მომკალ!—მშვიდად მიპასუხა მან:—ხანდისხან ისე მოსაბეზრებელია ხოლმე სიცოცხლე! მაგრამ მუქარით განა შეიძლება სიმართლის მიღწევა?

მაშინ მე დავიჩოქე, ხელები დავუკოცნე და ტირილით ვემუდარებოდი, რომ შევებრალე, რომ ეთქვა ჩემთვის სიმართლე.

— საწყალი!—იძახდა და თან თავზე ხელებს მადებდა:—საწყალი!

— შემიბრალე!—ვემუდარებოდი:—ისე მწყურიან სიმართლე...

მე შევცქეროდი სუფთა შუბლს და ვფიქრობდი, რომ სიმართლე იქ არის, იქ თხელ გადაყოფილს იქით, ამიტომ ისე ძლიერად მსურდა თავის ქალა გადამეგლიჯა და სიმართლე დამენახა. აი, აქ, თეთრ მკერდს იქით, გული ჰფეთქავს და საშინლათ მსურდა ამ მკერდის ბრჭყალებით გაგლეჯა, რომ ერთხელ მაინც დამენახა ადამიანის გატიტვლებული გული. გაუნძრევლად იდგა უკვე ჩამწვარ სინათლის ალის სინათლე. კედლები თანდა თან მუქდებოდა, განზე იწევდა და ისეთი დაღონება, ისეთი სიმარტოვე და შიში იდგა...

— საწყალია!—ამბობდა იგი:—საწყალი.

სანთლის ალი შეფრთხიალდა და გალურჯებული ჩავარდა შანდალში, შემდეგ ჩაჰქრა. სიბნელემ მოგვიცვა. მე ვერც იმის თვალებს ვხედავდი და ვერც სახეს. იმის ხელებს ჩემი თავი ეჭირა, და მე სიცრუეს უკვე აღარა ვგრძნობდი. თვალებ დახუჭული არა ვფიქრობდი, არა ვცოცხლობდი. მხოლოდ იმის ხელების შეხებას მთელის ტანით ვიხუტავდი და ეს შეხება მართალი მეგონა. იმისი შეშინებული და საკვირველი ჩურჩული სიბნელეში რაკრაკებდა.

— მომხვიე! მეშინიან.

და კვლავ სიჩუმე, შიშით სავსე ჩურჩული.

— გინდა სიმართლე და განა მე კი ვიცი? დამიფარე, ოჰ, როგორ მეშინიან!

თვალები ავახილე. ოთახის გაფითრებული სიბნელე შიშით გარბოდა ფანჯრებიდან, კედლებთან გროვდებოდა და კუთხეებში იმალებოდა. ფანჯრებში კი რაღაც, მომაკვდავსავით ფერ-მკრთალი, იცქირებოდა, თითქოს ვიღაცის მკვდარი თვალები გვეძებდა და გვხვევდა თავის გაყინულ გამოხედულებაში. კანკალით ვეკროდით ერთმანეთს. ის კი ჩურჩულებდა.

— ოჰ, რანაირად მეშინიან!

IV

მოვკალ. მოვკალ და როცა იგი პრტყელ და დუნე ლეშად იმ ფანჯრის წინ დაეცა, საიდანაც მკვდარი მინდორი თეთრათა სჩანდა, ზედ შევდეგ და გავიცინე. ეს გიჟის სიცილი არ იყო. მე იმიტომ ვეცინოდი, რომ ჩემი მკერდი თანაბრად და თავისუფლად სუნთქავდა, ხოლო შიგნით მხიარულება, სიმშვიდე და სიცარიელე იყო; გულს მოსდნა ის ჭია, რომელიც მას ღრღნიდა. მე დავიხარე და იმის მკვდარ თვალებში ჩავიხედე, დიდრონი, სინათლის ხარბი ისევ გახილული დარჩენილიყო და სანთლის ქანდაკების თვალებსა ჰგავდა. ისეთივე ჩამქრალი და რგვალი იყო, თითქოს გაკუპრული. შემეძლო ამ თვალებისთვის ხელი მეხლო, შემეძლო აწევ-დაწევა, არ-კი მეშინოდა. არ მეშინოდა იმიტომ, რომ მათ შავ ბიებში აღარა სცხოვრობდა სიცრუის ის დემონი, რომელიც ასე დიდხანს და ხარბად სწოვდა ჩემს სისხლს.

როცა დამიჭირეს, ვიცინოდი. ჩემს შემპყრობელთ ეს მხეცურად და საშინლად ეჩვენებოდათ, ზოგი პირს იბრუნებდა, ზოგი კი პირდაპირ და მრისხანედ მიყურებდა. ტუჩებზე მომდგარ მრისხანებით მიახლოვდებოდნენ და როცა ჩემი ნათელი და მხიარული ღიმილი მათ შეხედავდა, სახე უფითრდებოდათ და ფეხებს მიწა იკრობდა ხოლმე.

— გიჟია!—ამბობდნენ ისინი და ასე მეგონა, რომ ეს სიტყვა მათ ანუგეშებდა, რადგან იგი შეძლებას აძლევდა გამოეცნოთ კითხვა: როგორ მოვკალ მე, შეყვარებულმა, ჩემი სატრფო. მოვკალ და თან ვიცინოდი. მხოლოდ ერთმა სქელმა და ლოყა წითელმა კაცმა სთქვა სხვანაირი სიტყვა, რომელიც მძლავრად მომხვდა და თვალთ დამიბნელა.

— საწყალი კაცი!—სთქვა მან თანაგრძნობით და უღვარძლოთ, იმიტომ რომ ის სქელი და მხიარული იყო.—საწყალი!

*) იხ. „ისარი“ № 230

სამკურნალოდ არ არის ცნობილი მეცნიერთაგან. ზრდილობა მოითხოვდა კოკოვცევს საფრანგეთის მინისტრებიც ენახა. საფრანგეთის მინისტრებმა სამაგიეროდ სადილი გაუმართეს. სადილზე საუბარი ყოფილა და გაზეთ „რეჩ“-ში გადმობეჭდილია ნაწილი ამ საუბრისა:

**კოკოვცევი.** თუ არის სადმე ქვეყანაზე სახელმწიფო, რომელიც ფულს არ საჭიროებს, ეს რუსეთია.

**კლემანსო.** ბედნიერი სახელმწიფო!

**კოკოვცევი.** დიახ, მაგრამ ჩვენ ეგოისტები არა ვართ, ჩვენ მაინც ვსესხულობთ ფულს საფრანგეთიდან, მაგრამ მხოლოდ თვითონ საფრანგეთის გულისათვის. იმპერიას აქვს საშუალება დააკმაყოფილოს ყველა თავისი მიმდინარე საჭიროება. მაგრამ ჩვენ თქვენი მოკავშირენი ვართ და საქმე ის არის, გსურთ თუ არა თქვენ, რომ თქვენი მოკავშირე ძლიერი იყოს და საჭიროების დროს დაგეხმაროს. ამისთვის კი საჭიროა აღვადგინოთ ჩვენი ფლოტი და განვაახლოთ ჯარი. აი, ამისთვის გვინდა ფული. ჩვენ იმდენად იმედი გვქონდა თქვენი, რომ უკვე შევუკვეთეთ რამდენიმე დიდი ჯავშნიანი გემი და ეხლა ფული გვესაჭიროება...

როგორც სჩანს, საფრანგეთის მინისტრებს ვერ ჰქონიათ კარგად გათვალისწინებული საფრანგეთის ინტერესები და კოკოვცევი დაუკმაყოფილებელი გამოუსტუმრებიათ. ამას მოწმობს გარეშე საქმეთა მინისტრის მოგზაურობა პარიზისაკენ. კოკოვცევი წავიდა, იზვოლსკი მივიდა.

კადეტების გაზეთმა არ იცის, რა ბედი მოჰყვა იზვოლსკის მოგზაურობასა და მჭევრმეტყველებას.

# პროვინციის ცხოვრება

**ფოთი.** როდესაც რომელსამე ადამიანს განზრახული საქმე ჩაეფუშება, მაშინ ის ან თავისიანებს დაუწყებს კბენას, ან სხვა ვინმეს ლანძღვა-გინებას. მაშინ იმ მედიდურს და ყბედს აგიწყდება თავისი ნამოქმედარი. ერთი ასეთი ადამიანი მოევლინა ფოთიდან გაზეთ „ჩვენ გზას“ და ისე დღე არ გაივლის, რომ სოც.-ფედერალისტების გინება და ლანძღვა არ გამოვიდეს ხსენებულ გაზეთის ფურცლებზე (იხ. „ჩვენი გზა“ № 31). „ისარს“ ჩემი ვექილობა არ ესაჭიროება, მხოლოდ მსურს ორიოდე სიტყვა მოვახსენო ბუმბერაზ ეს-დეკს. ბ-ნო ეს-დეკ, თქვენ რომ ცოტათი დაფიქრებულიყავით, ან სინიდისს წინ არ გაურბოდეთ, მაშინ არ დასწერდით იმ წერილს, რომელიც მოთავსებული იყო „ჩვენი გზის“ № 14-ში თქვენ თითონაც კარგად იცით, რომ იმ კრებაზე, რომელიც მოხდა ქალაქის გამგეობის დარბაზში, ს.-ფედერალისტებს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ. მხოლოდ თქვენმა ს.-დემოკრატმა, რომელიც დღემდის მარჯვენა ხელი იყო თქვენი და ეხლაც არის, გააბათილა ამ კრებაზე თქვენი ნალაპარაკევი ნიკოლაძეზე. პასუხად თქვენმა პაქრიანმა პირმა „პრავოკატორი“ უწოდა, რაზედაც სამაგიეროდ იმავე სიტყვით გიპასუხეს.

ეს-დე ამბობს: ფოთელმა ფედერალისტებმა მონაწილეობა მიიღეს არჩევნებში და ეს დამტკიცდება იმითი, რომ თვით ის სია „უპრავის დელოში“ ან და საგუბერნიო „პრისუტსტვიაშიაო“. ჰაი, ჰაი, უგუნურებავ! „ეს-დეს“ ვერ წარმოუდგენია, რომ ამ ქაღალდებში ვერავინ ვერას გაიგებს, რადგან ბევრ ს.-დემოკრატების ბიულეტენზე ნ. ნიკოლაძე და ი. მეუნარგია დაეწერათ. ამის დამტკიცება თუ გნებავთ, მიმართეთ თქვენი რწმენის ამხანაგებს, რომელნიც კომისიაში იყვნენ. ამასთან ახალ-სოფელში მცხოვრებლებს თქვენს ბიულეტენზე დაეწერა გაჭარიონ. დლონტი და ნ. ნიკოლაძე. რას ნიშნავს ეს? ამას ვერავინ ვერ გაიგებს, გარდა ს.-დემოკრატებისა.

„ეს-დე“ განაგრძობს: ფოთელი ფედერალისტებიშ ეუკავშირდნენ იმ „ვაჭრობას“, რომელმაც შარშან ანდრია ჟვანიას მეთაურობით მათი კანდიდატი გააშავა და საკუთარ კანდიდატის წამოყენებით 190 ხმა წაართვაო — და მერმედ აღნიშნავს მეუნარგიას და თურქიას არჩევნებს. ნეტავ ვიცოდე, რათ დასჭირდა „ესდეს“ ფაქტების დარღვევა. დიახ, მაშინაცდა ეხლაც ჩვენ გამოუთვილი ვართ ვაჭრებისაგან, მაგრამ თქვენ ხომ ვერ შორდებით თქვენ ღვიძლ მოკავშირე ვაჭრებს, რაც მით მტკიცდება, რომ ყოველთვის ვაჭარს წამოაყენებთ ხოლმე თქვენს კანდიდატად. თუ მაშინ 190 ხმა წაგვართვეს, ჩვენმა კანდიდატმა მაინც მიიღო 495 ხმა, თქვენმა კი — 600 ხმა, და განა ეს ისეთი დიდი განსხვავებაა! იცი, მკვეხარა „ეს-დე“, რით გაიმარჯვეთ მეორე სახელმწიფო არჩევნებში? არა მგონია, და რომ იცოდეთ ეს კიდეც, ნამუსს არ უღალატებთ... მაშინ რომ სენაკის ვაჭრები ორას კაცამდე არ ჩამოუყვანა ერთ იქაურ ვაჭარს, რომელიც თქვენის პარტიის წევრად ითვლება, ისეთი გაწკნეპილი დარჩებოდით, როგორიც წელს.

კიდევ განაგრძობს: ფოთელ ს.-ფედერალისტები ს.-დემოკრატების წინააღმდეგ წავიდნენ და გაათეთრეს მათი მოწინააღმდეგები, რითაც შეამცირეს სოციალისტური ელემენტები მესამე დუმაშიო. გიპასუხებთ ს.-ფედერალისტებს არც ერთი არ გაუთეთრებიათ. გიმეორებთ, გააშავეს თქვენი მოწინააღმდეგე, ს.-დემოკრატებმა, რადგან აქტიური მონაწილეობა მიიღეს იმ პირებმა, რომელნიც ამდენხანს თქვენს ბრძანებლობას ემსახურებოდნენ. იმ პირებმა გააშავეს თქვენი ვაჭარი კანდიდატი.

შეჭორე კიდევ განაგრძობს: ფოთელი ფედერალისტები შეუფერებლად მოექცნენ ჩვენს ამხანაგებსაო. ვითომ გამგეობის ერთ მოსამსახურე ფედერალისტს ეთქვას — именемъ закона предлагаю освободить комнату. სწორედ დიდი უიხტიბრობაა ეს ბ-ნ ეს-დეს მხრივ. იმ ოთახში, ეს-დევ, ოთხი თქვენი მოაზრე იყო, მხოლოდ ერთი გამგეობის მოსამსახურე, ისიც ქალაქის თავის მოადგილის წინადადებით. როგორც ვიცი, თქვენს ამხანაგებს ისევ თქვენის რწმენის მოაზრემ მიაყენა შეურაცხყოფა, რადგან ფანჯრიდან დაინახა თქვენი ამხანაგის უსაქციელობა.

ბოდიშს ვიხდი, მაგრამ უნდა გავკადნიერდე მკითხველის წინაშე. სულით დაცემული, უზნეო, ლაფში ამოსვრილი და უსინდისო უნდა იყოს ადამიანი, რომ ყოველ ფეხის გადადგმაზე სიცრუე და თაღლითობა სჭედავდეს მეორე პარტიის წინააღმდეგ მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი ჟინი მოიკლას და ზოგიერთი შეუგნებელი ადამიანი ეჭვში შეიყვანოს. თორემ რა საკადრისია იმის თქმა, ვითომ „უპრავას“ ფედერალისტების დახმარებით მოეყიდნოს მეხარ-კამეჩეები, მოიჯარადრეები, ადგილობრივი უმუშევარი მუშები და სხ. და სხვ. (იხ. „ჩვენი გზა“ № 23). უკაცრავად, მაგრამ მოყიდვასა და ქურდობაზე ჩვენ ჩვეულნი არა ვართ: არ გეგონოთ ს.-დემოკრატები (არა ყველა), რომ გემიდან მუშის ზურგით გადმოტვირთული საქონელი გავყიდოთ და იმით ტკბილ სიამოვნებას შევექცეთ. იქნება არა გჯერა, ბ-ნო „ეს-დევ“?! თუ არა გჯერათ, ჰკითხეთ რუსეთის სანაოსნო საზოგადოების მუშებს, ვინ დაითხოვეს სამსახურიდან და რამდენი მუშა გააძევეს ფოთიდან, მერე შეიძლება ენა დაიმოკლოთ. თუ მუშების შეგრცხვეთ, მაშინ იმავე საზოგადოების ჟურნალს მიმართეთ და ის ყოველივეს აგიხსნით. ყველა ამის შემდეგ გამოდის ეს უმგვანო სული და გაიძახის — ს.-ფედერალისტებმა გაგვაშავესო. ჰხედავენ თქვენს ნამოქმედარს, ჰხედავენ თქვენს თვალთმაქცობას, ჰხედავენ — ვის უნდა გადააქეჯნინოთ მშრომელი ხალხის კისერი და ამიტომ, ნურას უკაცრავად, ბ-ნო „ეს-დევ“, თუ თქვენს პრტყელ-პრტყელ სიტყვებს გასავალი აღარა აქვს. მოვა დრო და თქვენს თაღლითობასაც ბოლო მოეღება. სიმართლე და პატიოსნება თავისას გაიტანს.

**მედგარი.**

—

**დ. ცხინვალი.** იშვიათად, რომ ვინმემ ამოიღოს ხმა ჩვენს კურთხეულ დაბაზე; ყველა სადათას ძილს მისცემია, მაგრამ... არა, არა სძინავს ჩვენს დამურებს, რომელნიც მთელის თავიანთ სიძლიერე-სიმძიმით მუშა ხალხს მაჯლაჯუნასავით თავს დასწოლიან. გაათამამებულმა რეაქციამ ბნელი ძალები გამოამზევა, ყველას დაანახვა. იმ დროს, როდესაც რევოლიუციონური ქარიშხალი წალეკას უქადდა დამპალ-დაობებულ-დახავსებულ რეჟიმს, მაშინ გამოტყვრნენ ისეთი „სოციალისტები“, რომელნიც „ოსანა მაღალთა შინას“ უგალობდნენ ერთობას, მაგრამ... მაგარიც ის გახლავთ, რომ დღეს ეს ვაჟბატონები „სანჩო-პანჩოდ“ გამხდარან დონკიხოტის და ერთ ალიაქოთშია ატეხილი მათი აურ-ზაური. აქ ერთი რაღაც პარტია დაარსდა, ვგონებ „ცაკანების“, რომელნიც ყველას, მდიდარს თუ ღარიბს, ზურგზე ბოლს ადენენ. ესენი შეწევნითა ბლანკებისათა ფულებს ითხოვენ, ჯიბეებს ისუქებენ.

ცოტა რამ სამკითხველოზე: სამკითხველოში შეხვდებით თქვენ „გოლოს კავკაზს“, „ცერკოვნი ვედომოსტს“ და... წარსული წლის „ვეჩეს“.

**ქიანქველა.**

## თეატრი და ხელოვნება

**ოპერა.** წინადაც მქონდა აღნიშნული, რომ საოპერო არტისტთა ამხანაგობა ვერც ერთ თვალსაჩინო ოპერას ვერ წარმოადგენს — თუ დრამატიული ტენორი არ მოიწვია-მეთქი. კვირის წარმოდგენამ კვლავ დაგვიმტკიცა ეს აზრი. დიდებულ ვერდის საუკეთესო ოპერა «აიდა» ამხანაგობის დასმა თითქმის ჯვარზე გააკრა. „აიდა“ ურადამესოდ ძნელი წარმოსადგენია და ამხანაგობამ-კი ეს წარმოუდგენლობა სინამდვილედ აქცია, რადგან ბ-ნი საიანოვი მართალია, სცენაზე იყო, მაგრამ მღეროდა, თუ არა, — ეს თითქმის ყველათვის საეჭვოდ დარჩა. რადამესი-კი განხორციელება სიმღერისა, რადგანაც თითოეული ფრაზა მისი პარტიისა მშვენიერი მუსიკალური სურათია სხვა და სხვა იერის გრძნობათა, ხმათა შეთანხმებით აღბეჭდილი. ქ-ნი მარკოვა (აიდა) სუსტია. ეჩერხება მხოლოდ მაღალ ფარდების ამოძახილი, მაგრამ ეს ამოძახილი მეტის-მეტად გამყვავრი და მძაფრია; აიდას-კი ბევრს შემთხვევაში ესაჭიროება ხმამიბნედილობა, ნაზ გრძნობათა გამოსათქმელად. კარგი იქნებოდა ბ-ნი პავლოვსკი ამინასსოს როლში, რომ ახოვნება და სიმამაცის იერი ჰქონდეს. როგორღაც პატარაა, დამრგვალებული და უნებურად ესეთი გარეგნობა სიმღერის მეტყველებაზედაც მოქმედობს. დანარჩენებზედ სახეირო არა ითქმის-რა და მათ შესახებ ისევ დუმილს ვამჯობინებთ. მოწყობილია აიდა მკრთლად და უფერულად წინა წლების სეზონთან შედარებით, განსაკუთრებით მეოთხე სურათის სადღესასწაულო სცენა.

16 ოქტომბერს წარმოადგინეს მასკანის „კავალერია რუსტიკანა“ (პატიოსნება სოფლისა) ამხანაგობამ კვლავ ახალი ტენორი გვიჩვენა ბ-ნი ახმატოვი ტურიდოს როლში. დიდი შეცდომაა ამხანაგობის მიერ, რომ ბ-ნს ახმატოვს ისეთ თვალსაჩინო როლს აძლევენ, როგორიც არის ტურიდოს როლი და თვით ახმატოვი კი დამნაშავეა თავის თავის წინაშე, რომ სცენაზედ გამოდის მის შესახებ არ ითქმის, რომ ხმა არ შესწევდეს, მაგრამ ის, რაც მას ხმად მიაჩნია, მხოლოდ მასალაა, ხელუხლებელი მასალა. მღერის იგი ისე, როგორც ჩვეულებრივად მღერიან არა არტისტნი არამედ სიმღერის მოყვარულნი და სცენაზედ გამოსულნი სიბრალულს იწვევენ ხოლმე. ბ-ნმა ახმატოვმა ჯერჯერობით სცენას თავი უნდა დაანებოს და ხმის შემუშავებას და გაშალაშინებას მიმართოს.

კარგად ადაჰრულა ორკესტრმა, ბ-ნ ფალიაშვილის ლოტბარობით, ცნობილი ინტერმეცო, რომელშიაც მშვენივრად არის გამოთქმული სარწმუნოებრივი და სადღესასწაულო აღტყინება.

იმავე საღამოს განმეორებულმა „იოლანტა“-მ ჩაიკოვსკისამ, ბ-ნ სიბიარიაკოვისა და ქ-ნ ოკუნევას მონაწილეობით, კარგი შთაბეჭდილება იქონია საზოგადოებაზედ მშვენიერი იყო ბ-ნი სიბირიაკოვი კოროლ რენეს როლში. იშვიათის სინაზით და ნამდვილის ღაღადისით სავსე იყო მისი სიმღერა, როცა ღმერთს ევედრება დაუბრუნოს იოლანტას სინათლე. საზოგადოება აღტაცებით მიეგება ამ ჰანგის დასასრულს და ხანგრძლივის ტაშის და ვაშას ძახილით დააჯილდოვა მომღერალი.

**ი.**

# რუსეთი

✦ **ყირგიზთა გულუბრყვილობა.** 3 ივნისის კანონმა იმდენად შეზღუდა საარჩევნო უფლება არა რუსებისა, რომ, მაგალითად, 20 მილიონი მაჰმადიანი ირჩევს 6 დეპუტატს, ე. ი. თითო დეპუტატი მოდის $3^1/_2$ მილიონზე, 200,000 ამიერ-კავკასიელი რუსიც ირჩევს 1 დეპუტატს. მაგრამ ამ კანონმა ყველაზე უარესად დასაჯა აზიის წვრილი ერები და მათ შორის 6 მილიონი ყირგიზი, რომელთაც სრულიად წაართვეს საარჩევნო უფლება. ეხლა ყირგიზებს გადაუწყვეტიათ დეპუტაცია გაუგზავნონ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს სტოლიპინს და სთხოვონ, რომ როგორმე შესცვალონ ზემოხსენებული კანონი და ყირგიზებს ხელ-მეორედ დაუბრუნონ დაკარგული უფლება. იმედია, როცა ყირგიზები მომავალ სათათბიროს შედგენილობას გაიგებენ, დეპუტაციას [illegible] აიღებენ.

✦ **ბანკის გაკოტრება.** [illegible] ცნობილი ბანკი გალერისა აცხადებს, რომ ბანკი გაკოტრდა და ჩვენ 100 მანეთზე მხოლოდ 50 მანეთის მიცემა შეგვიძლიაო. ყველაზე მეტად დაზარალდა ფინლიანდიის ეროვნული ბანკი, რომელსაც გაკოტრებულ ბანკზე გასესხებული ჰქონდა 2 მილიონი მანეთი. ფინლიანდიის ბანკმა ჰამბურგში ერთი თავისი დირექტორი გაგზავნა და დაავალა, რამდენსაც შესძლებთ იმდენი მაინც გადაარჩინეთო.

✦ **სტუდენტის გაძევება.** სამთო ინსტიტუტის სტუდენტებმა შეატყობინეს პროფესორებს, რომ მათ თავიანთ ოჯახიდან განდევნეს სტუდენტი სოკოლოვი, რომელიც წევრია ჭეშმარიტ რუსთა მთავარ საბჭოსა და მებრძოლ რაზმისა.

✦ **ახალი უფლებანი გენ. გუბერნატორებისა.** სამხედრო წესებით შეწუხებული ხალხი მოულოდნელად მოელის გენ. გუბერნატორების მოშორებას, შინაგან საქმეთა სამინისტრო კი ახალ კანონ-პროექტს ადგენს და თხოულობს, რომ გენ. გუბერნატორს მიეცეს უფლება საჭიროების დროს დაკეტოს სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებანი.

✦ **თათრული სკოლები და სამინისტრო.** შარშან 31 მარტს რუსეთის მთავრობამ სათათბიროს დაუკითხავად გამოსცა ერთი უცნაური კანონი, რომელიც მაჰმადიანთა სკოლებს უკრძალავს მაჰმადიანურ ასოებით დაბეჭდილ წიგნების ხმარებას. ამის მაგივრად კანონი ავალებს რუსულ ასოების შემოღებას. მთავრობას ერთის სულელურ კანონის გამოცემით უნდოდა ისტორიის გადატრიალება. მაჰმადიანები, რასაკვირველია, აღელდნენ და აღშფოთდნენ. ბოლოს საერო განათლების სამინისტრომ გაიგო, რომ ზემოხსენებულ კანონის განხორციელება შეუძლებელია და დანიშნა ახალი კომისია ამ საკითხის გამოსარკვევად. კომისიაში მიიწვიეს რამდენიმე მაჰმადიანიც, რომელთაც პირველ კრებაზედვე ცხარე პროტესტი გამოაცხადეს, 31 მარტის კანონის გამოცემის გამო. ამ კანონმა ცხარე კამათი გამოიწვია. ბოლოს კომისიამ ხმის უმეტესობით დაიწუნა ეს კანონი და დაადგინა შეიმუშავოს ახალი წესდება მაჰმადიანთა სკოლებისთვის.

✦ **გუბერნატორის განკარგულების გაუქმება.** ამას წინად ვწერდით, რომ ტამბოვის გუბერნატორმა 500 მანეთით დააჯარიმა ერთი ვექილი იმის გამო, რომ მან სასამართლოში წარმოთქმულ სიტყვაში ცუდად მოიხსენია ტამბოვის პოლიცია. ეს საქმე სენატში გადავიდა. სენატმაც და იუსტიციის მინისტრმაც გააუქმეს გუბერნატორის დადგენილება და გაჰკიცხეს მისი საქციელი. გუბერნატორი თურმე სამსახურს თავს ანებებს.

## წერილი რედაქციის მიმართ

თქვენის გაზეთის მე-132 ნომერში მოთავსებული იყო ქართველ სტუდენტთა რეზოლიუცია ქ. ლეობენიდან, რომ მე, გრიგოლ ჩხეიძემ ვენის ქართველთა შორის გავავრცელე უშვერი ხმა ერთის ქართველის შესახებ. რადგან ჩემი მსაჯულები არ აცხადებენ არც ვინაობას ხსენებულ პირისას და არც მას; თუ რა ბრალი დავდე მე იმ ქართველს, იძულებული ვარ ვამცნო მკითხველთ ის, თუ რაში გამოიხატება ჩემი დანაშაული *): ვენაში ყოფნის დროს ვნახე მხოლოდ ორი ქართველი. სალამის შემდეგ დამეკითხნენ ლეობენის ქართველთა მოქმედებაზედ. ერთი მათგანი იმასაც კი შემეკითხა, თუ ეს და ეს პირი კვლავ განაგრძობს ჩვეულებისამებრ უსაქმობასაო. მე, რა თქმა უნდა, სვინდისმა ის მამხილა მეთქვა, რაც ჭეშმარიტება იყო და მასთან ისიც დაუმატე, რომ სასურველია ის ყმაწვილი გაიძევებოდეს ლეობენიდან, რადგან, უსაქმობის გარდა, იგი სხვებსაც ხელს უშლის და თვალსაჩინო ვნებაც მოაქვს ახალგაზრდებისათვის მეთქი. ეს ჩემი ნათქვამი ამ პირის მოტრფიალე ახალგაზრდებმა გაიგონეს და ჭეშმარიტების აღიარებისათვის მსჯავრი დამდეს: კავშირი გასწყვიტეს ჩემთან იმათ, რომლებთანაც მე თითონ არა მქონია რა ამხანაგური, რადგან ზოგს მათგანს ვერც კი ვიცნობ კარგათ. მე ლეობენის სახელი არც კი გამეგონა, როცა ეს ვითომ-და ჩემ მიერ შეურაცხყოფილი ვაჟბატონი იქა ბრძანდებოდა და ეძლეოდა განცხრომას. ვინც მას იცნობს, განა არ იცის, რა საქმის კაციც არის კ. ლ—ძე. მას რომ არა გაუკეთებია რა ექვსი წლის განმავლობაში, რაც რომ ლეობენში ჩავიდა, სხვისი ხელის შეშლის მეტი, და არც დღეს აკეთებს, ეს კარგათ იციდნენ და იციან ეხლაც

*) ამ წერილის დაბეჭდვა დაგვიანდა. რედ.

—

— საჭირო არ არის! — შევყვირე მე: — არ არი საჭირო, რომ ეგრე მიძახდეთ!

იმისკენ გავექანე, არ ვიცი კი — რად. რასაკვირველია, არა იმიტომ რომ მომეკლა ან ხელი მეხლო. მაგრამ ყველანი ისე შეშინდნენ — რადგან მე ავი და გიჟი ვეგონეთ, ისე დაიყვირეს, რომ კვლავ გამეცინა.

როცა იმ ოთახიდან გამომიყვანეს, სადაც მიცვალებული იყო, ხმა მაღლა და დაჟინებით ვიძახდი:

— ბედნიერი ვარ! ბედნიერი. — და თან სქელსა და მხიარულს კაცს ვუცქერდი.

და ეს მართალი იყო.

V.

ოდესღაც, ჩემს პატარაობაში, სამხეცოში ვნახე ვეფხვი, რომელმაც ჩემი წარმოდგენა განაცვიფრა. იგი არა ჰგავდა სხვა მხეცებს, რომელნიც ან უაზროდ სთვლემდნენ, ან გაბრაზებულნი შესცქეროდნენ მაყურებლებს. იგი მათემატიკურის სისწორით ერთს ხაზზე გალიის კუთხიდან კუთხეში დადიოდა, თავის ოქროსფერ გვერდით, გალიის ერთსა და იმავე რკინასა ხვდებოდა. მტაცებელი გაშვერებული თავი ჩაეღუნა, თვალები წინ იყურებოდნენ და არას-დროს გვერდზე არ მოიხედავდნენ ხოლმე. გალიის წინ ხალხი მთელის დღეობით ირეოდა, ლაპარაკობდა, ხმაურობდა და ის კი სულ დადიოდა და არას დროს უკან არ მოიხედავდა ხოლმე. ხალხში ცოტანი იღიმებოდნენ; უმეტესობა კი უაზროდ, სერიოზულად და მოღუშული უცქეროდა ამ მძიმე გამოურკვევლობის სურათს, ოხრავდნენ და ნელა შორდებოდნენ მას. ამ დროს ერთს კიდევ მოჰხედავდნენ ხოლმე და კვლავ ოხრავდნენ ისე, თითქოს რამე საერთო ჰქონდეთ ამ თავისუფალ ხალხს და იმ დამწყვდეულს მხეცს. შემდეგ, უკვე მოზრდილს, როცა ხალხი და წიგნები მუდმივობაზე მელაპარაკებოდნენ ხოლმე, მე მაშინვე ის ვეფხვი მაგონდებოდა და ასე მეგონა, რომ მე უკვე ვიცნობ მუდმივობას და მის ტანჯვას.

ამისთანა ვეფხვად ვიქეც მე ჩემს ქვის გალიაში. დავდიოდი და ვფიქრობდი. სულ ერთს ხაზზე დავდიოდი, გალიის სიგრძეზე — კუთხიდან-კუთხეში, და ერთს მოკლე ხაზზე დადიოდა ჩემი მძიმე ფიქრებიც, ისეთი მძიმე იყო, რომ ასე მეგონა — თავი კი არა, მთელი ქვეყანა მედგა მხრებზე. ჩემი ფიქრები მხოლოდ ერთ სიტყვისაგან შესდგებოდა; ისეთი მაწვალებელი, ისეთი ცუდის მომასწავებელი იყო ის.

სიცრუე — ასე გამოითქმოდა ის სიტყვა.

იგი სისინით კვლავ გამოდიოდა ყოველ კუთხიდან და ჩემს სულს ირგვლივ ეხვეოდა. იგი პატარა გველი აღარ იყო, გაიზარდა და დიდსა და ავად პრიალა გველად იქცა. მშხამავდა, თავის რკინის რგოლებით მახრჩობდა. და როცა ტკივილებისაგან ყვირილს მოვრთავდი ხოლმე, პირიდან ისეთი გველისავით მოსისინე ხმა ამომდიოდა, თითქოს ჩემი გული მთლად გველებით ყოფილიყოს სავსე.

— სიცრუე!

დავდიოდი და ვფიქრობდი. ასე მეგონა, რომ ნაცრის-ფერი სწორე ფისის იატაკი მოთეთრო გამსჭვირვალე უფსკრულად იქცა. ფეხები ქვაზე დაკარებას აღარ ჰგრძნობდნენ და ასე მეგონა, რომ უშველებელ სიმაღლეზე დავფრენ — სიბნელისა და ბურუსის ზევით. როცა ჩემი გული მსტვინავ კვნესას ამოუშვებდა, საიდანღაც, ძირიდან იმ მკრთალ, მაგრამ სქელ საფარებლიდან ნელა ამოდიოდა საშინელი ხმა. ისე ნელა და ყრუდ ამოდიოდა ეს ხმა, თითქოს იგი გზათ მთელ საუკუნოებს გადიოდა და ყოველ წუთს, ბურუსის ყოველ ნაწილში თავის ძალას ჰკარგავდა. მესმოდა, რომ იქ, ქვემოდ, ის ქარსავით უსტვენდა, ისეთ ქარივით, რომელიც ხეებს აქცევს. მაგრამ ჩემს ყურში ერთს ავსა და მოკლე ჩურჩულით ჩადიოდა:

— სიცრუე!

ეს ფლიდი ჩურჩული მაბრაზებდა. ფეხებს ვაბრახუნებდი და ვყვიროდი:

— აღარ არის სიცრუე! მოვკალ!

და განგებ ვბრუნდებოდი, რაღგანაც ვიცოდი, რა პასუხსაც მივიღებდი, ის კი უფსკრულიდან სტვენით მიპასუხებდა:

— სიცრუე!

როგორც ჰხედავთ, საქმე იმაშია, რომ მე საცოდავად მოვტყუვდი: მე ქალი მოვკალ, სიცრუე კი უკვდავი გავხადე. არ მოჰკლათ ქალი, ვიდრე ტანჯვით, მუდარით და ცეცხლით არ ათქმევინებთ სიმართლეს.

ასე ვფიქრობდი და გალიის კუთხიდან კუთხეში დავდიოდი.

IV.

იქ, სადაც მან სიცრუე და სიმართლე წაიღო, ბნელა. მაგრამ მე იქ წავალ! სატანის ტახტთან დავეწევი, დავეცემი იმის მუხლების წინაშე, ავტირდები და ვეტყვი:

— მითხარ სიმართლე!

მაგრამ, ღმერთო, ეს ხომ სიცრუეა. იქ სიბნელეა, სიცარიელე საუკუნოებისა და დაუსრულებლობისა. იგი იქ არ არის. ის არსად არ არის! მაგრამ სიცრუე მაინც დარჩა, უკვდავია, მას ჰაერის ყოველ ჩასუნთქვაზე ვგრძნობ, როცა მე ვსუნთქავ, სიცრუე სისინით ჩადის გულში და ჰგლეჯს მას!

ოჰ, რა უგუნურებაა! იყო ადამიანი და ეძიო სიმართლე! რა ტკივილია!

— მიშველეთ! დამიხსენით!

**ი. ჟა—შვილი.**

ავსტრიაში მყოფმა ქართველებმა. მე თითონ მქონდა მასთან საუბარი და შემინიშნავს: ნუ თუ არ მოგწყინდა ამ პატარა ქალაქში ექვსი წელიწადი უსაქმობა და ქუჩების ტკეპნა მეთქი. არა ერთხელ თითონაც აღუარებია შენიშნული ჭეშმარიტება, რადგან ფაქტის დამალვა ძნელია, მაგრამ მისმა ახალმა მეგობრებმა იწყინეს ასეთი ჩემი სიტყვები და ამხანაგს დათვი[?] სამსახური გაუწიეს. რომ ამ გულწრფელ ამხანაგებს არა, დავიწყებული იქნებოდა ხსენება შეურაცხყოფილისა. თუ[?]ცა ეხვეწებოდა ამხანაგებს, გამოცხადება არ არის საჭირო, რადგან მე ისიც მაქმაყოფილებს, როჰ მას ზიზლი გამოუცხადოთო, მაგრამ ამხანაგებმა მას აღარა ჰკითხეს, თითონ აღშფოთე[?]ა გამოაცხადეს, შეურაცხყოფილს ჩამოაფარეს ნიღაბი და საზოგადოების თვალში ამხანაგურად დაიცვეს. იმათგან, ვინც ჩემი მსაჯულობა იკისრა, ორის მეტი არც კი ირიცხება აკ დემიაში. სხვა უმაღლესი სასწავლებელი ლეობენში არ არის. მე ხომ არა ვარ პირველი და უკანასკნელი ამ ვაჟბატონის გამკიცხველი. სხვათა შორის, აი რასა მწერს ერთი ჩემი ამხანაგი (წე ილი რედაქციას წარვუდგინე): „გავიგე რ. შესახებ უთანხმოებისა, რაიც ამტყდარა შენსა და ლ—ძის შორის, მსურს ორი სიტყვა მოგწერო: ნუ თუ დანარჩენი ქართველები, რომელნიც არ არიან დაახლოვებულნი და დამეგობრებულნი ლ—თან, არა გრძნობენ, არა ხედავენ იმას, რაც შენ აქ გილაპარაკნია. ან იქნება ყველანი ამ რეზოლიუციის გამოტანის დროს მიიმალ-მოიმალნენ და ენა ჩაიგდეს? მიკვირს და ვერ ამიხსნია! ვერ ამიხსნია იმისთვის, რომ დარწმუნებული ვარ შენის სიტყვების სიმართლეში, რადგან შენ არა ხარ პირველი, რომელიც მაგას ლაპარაკობს. მაგალითად, აქ ჩამოიარა ამ დღეებში გ.ვაშელმა, რომელიც წინად მანდ იყო და იმანაც თითქმის ეგრე ილაპარაკა. ის კი არა დაგვისახლა ქართველებიც, რომელნიც ლ—ძის გავლენის გამო ხელიდან წასულან".

აი, ასეთის აზრისანი არიან სხვებიც ბ-ნ ლ—ძის შესახებ. **გ. ჩხეიძე.**

—

სოფ. აბაშის უფასო სამკითხველოს გამგე კომისია მადლობას სწირავს ყველა იმათ, ვინც სამკითხველოს საკუთარ შენობის ასაგებად ფულით შემწეობა აღმოუჩინეს. სია შემომწირველთა: 2 მანეთი ექიმ სევასტიანსკი. თითო მანეთი: ერასტო შოთაძე, გერასიმე შალამბაშარია, ქიწვარდი ხინტკირია, იასონ ქოიავა, მარკოზ პერტია, ვლადიმირ ქოიავა და პავლე ქოთავა; ათ-ათი შაური: ექიმი ზავსიჟევსკი, გრიგოლ ბერაი და ბესარიონ ქოიავა; თითო აბაზი: მანუჩარ ქოიავა და გაბო მურზაშვილი. სულ 10 მან. და 90 კაპეიკი.

გამგე კომისიის მონდობილებით **ხვავნჭიანე ქოიავა.**

—

**(პასუხად კ. კ—იას და ს. ს—შვილს)**

„ისარის" № 222-ში მოთავსებულია ჩემ შესახებ წერილი კ. კ—იას და ს—შვილისა, რომელნიც ბრალსა მდებენ, ვითომ მე წინ და წინ ამეღოს სწავლის ფული (500—600 მან.) ჩემთან მოსწავლე ოცდა ხუთ ქალისაგან და სადღაც გავპარულიყო. მართალია, ორი კვირით მომიხდა ბაქოში წასვლა, რადგან ეს აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა ჩემთვის, მაგრამ ეს სრულებითაც არა ნიშნავდა იმას, ვითომ მე გამეტაცნა მოსწავლე ქალების ფული და სწავლაზედაც ხელი ამეღო. მე რჩევას მივცემ კ. კ—იას და ს—შვილს, ჯერ საქმე გაიგონ კარგად და მერე ილაპარაკონ. მე კვლავინდებურად ვიმყოფები ქ. გორში, ვასწავლი როგორც იმ ქალებს, ისე სხვებსაც. **ანნა აივაზოვა.**

—

უმორჩილესად გთხოვთ, ადგილი დაუთმოთ ჩვენ ამ წერილს „ისარის" რომელსამე ნომერში. გორის მაზრის სოფელ ახალქალაქის საზოგადო სამკითხველო-ბიბლიოთეკის სასარგებლოდ მივიღეთ ბ-ნ სანდრო იტრიევის ხელით ამხანაგების მიერ შემოწირულება ოცდა ცხრამეტი მანეთი და ხუთი შაური, (39 მ.—25 კ.) და ოცდა ოთხი ქართული წიგნი, რისთვისაც მადლობას ვუძღვნით. ვთხოვთ საზოგადოებას, დახმარება აღმოუჩინოს ჩვენს ღარიბ სამკითხველო-ბიბლიოთეკას.

ჩვენი ადრესი: Тифлисъ, Гоголевская ул. № 57. д. Сафарова. Якову Галустову.

წევრი მმართველობისა **იაკობ ქეულუთვი**

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**რ უ ს ე თ შ ი.**

**17 ოქტომბერი**

**ოდესა.** ალექსანდროვსკის ამხანაგობის შაქრის ქარხნის დირექტორს გოლდფაბრს ვიღაც უცნობი ახალგაზდა კაცი სახლში შეუვარდა და 2000 მანეთი მოსთხოვა. გოლდფრაბმა რევოლვერზე წაივლო ხელი. მაგრამ უცნობმა ყუმბარა გადააგდო, რომელიც აფეთქდა და ერთმა ნატეხმა გოლდფაბრი დასჭრა. მიუხედავად ჭრილობისა, იგი მაინც გამოუდგა უცნობს და რამდენჯერმე ესროლა. უცნობი ქუჩაში გავარდა და გაქცევა დააპირა, მაგრამ იქ პოლიციელს წააწყდა, რომელმაც ესროლა და მძიმედ დასჭრა.

**პეტერბურგი.** სამხედრო სასამართლომ გაარჩია 14 მაქსიმალისტის საქმე. მიუსაჯა: სამს 20 წლით კატორგა, დანარჩენთ საპატიმრო სხვა და სხვა ვადით, სამი გაამართლა. ერთი ბრალდებულის საქმე გამოჰყვეს.

**კურსკი.** გუბერნია ხოლერის მხრივ საშიშად გამოაცხადეს.

**ორენბურგი.** გუბერნია ხოლერის მხრივ საშიშად გამოაცხადეს.

**კიევი.** კიევისა და ჩერკასის მაზრები ხოლერის მხრივ საშიშადაა გამოცხადებული.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** მაზრებში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 3; ქალაქში ავად არავინ არ გამხდარა და არც მომკვდარა.

**პოლტავა.** გუბერნიაში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 1 კაცი.

**ომსკი.** ქალაქში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1.

**ხემიპალატინსკი.** ხოლერით გარდაიცვალა 1.

**ტომსკი.** ნოვონიკოლაევსკში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 2, ბარნაულში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1. ტომსკში ავად გახდა 3.

**სიმბირსკი.** ავად გახდა 3.

**ეკატერინოსლავი.** ქალაქში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 1.

**მოგილიოვი.** გომელში ავად გახდა 2.

**ჩერნიგოვი.** სენის გაჩენიდან ავად გახდა 32, გარდაიცვალა 30 კაცი.

**18 ოქტომბერი**

**პეტერბურგი.** სახ. საბჭოს წევრების, გარდაცვალებულის ილია ჭავჭავაძის და თავისით გადადგომილის ხომიაკოვის მაგიერ, ახლების არჩევანი მოხდება 25 ოქტომბერს.

**პოლტავა.** საგლეხო ბანკმა შეიძინა 4 მამული; ერთი ღირს 112,300 მანეთად. ეს მამულები გადასცეს მიწის მომწეს-რიგებელ კომისიას.

ქალაქში ხოლერით ავად არავინ გამხდარა, გუბერნიაში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1.

**ხემიპალატინსკი.** ხოლერით გარდაიცვალა 1.

**პენზა.** ნაროვჩატსკის მაზრაში ავად გახდა 2.

**ეკატერინოსლავი.** 15 ოქტომბერს ავად გახდა 1, გარდაიცვალა 3, მაზრაში ავად გახდა 1.

**სამარა.** შეიპყრეს სიზრანელ მემამულის ნოსაკინის მკვლელი და იმისი თანამოაზრე ქალი. იგი აღმოჩნდა მებრძოლ ორგანიზაციის წევრი.

**ეკატერინოსლავი.** ქვა-ნახშირის მაღაროდან დათხოვნილმა მუშამ დასჭრა პოლიციელი. მუშამ თავი მოიკლა.

**რადომი.** 11 ოქტომბერს სტაშევის მახლობლად საფარიდან ოთხის ტყვიით მოჰკლეს სააქციზო ფულის ამკრები, რომელსაც სამი დარაჯი ახლდა. ერთი მათგანი სასიკვდილოდ დასჭრეს. დანარჩენი ორი გაიქცა. რამდენი ფულია წაღებული, ჯერ არ იციან.

**სარატოვი.** ვოლსკის მაზრის სოფ. პლეტნევკაში გლეხებმა გაძარცვეს სახაზინო საარყე დუქანში.

**უფა.** 15 ოქტომბერს ბირსკში დაიწვა სატუსაღო. პატიმრები სხვა სადგომში გადაიყვანეს.

**პეტერბურგი.** უმაღლესად დამტკიცდა მინისტრთა საბჭოს 1906 წლის 22 აპრილის დებულება, რომელიც შეეხება სახელოსნო სასწავლებელში სწავლა-დამთავრებულთა შეღავათის მიცემას სამხედრო ბეგრის გადახდის დროს. შეღავათი მიეცემა დებულების დამტკიცებამდე სახელოსნო სასწ. კურს დამთავრებულთ, თუ კი მათ გაიარეს შესაფერი პროგრამმა.

პეტერბურგის. სახალხო უნივერსიტეტების საზოგადოების საბჭოს ნება მიეცა, სამობაოდ მოიწვიოს სრულიად რუსეთის განმანათლებელ დაწესებულებათა კრება.

**ვლადივოსტოკი.** 16 ოქტომბერს, დილის ხუთ საათზე, ნაღმოსანთა ბატალიონის ჯარის კაცთა ერთმა ნაწილმა, გარეშე აგიტატორთა შთაგონებით, რომელნიც დამე მივიდნენ, თოფებს დასტაცეს ხელი და მეათე პოლკის ყაზარმას სროლა აუტეხეს. ტყვიის მფრქვეველი დაუშინეს. მეამბოხენი გაიფანტნენ, შემდეგ იარაღი დააბრუნეს. დაიჭრნენ: კაპიტანი იუნკევიჩი, შტაბს-კაპიტანი ტატარინოვი; მოჰკლეს მოდარაჯე ჯარის კაცი, დაიჭრა კიდევ ორი ფელდფებელი. მეათე პოლკში მოჰკლეს ერთი ჯარის-კაცი. მეამბოხეთაგან მოკლულ იქმნა ორი და დაჭრილია ხუთი. ერთი გარეშე აგიტატორთაგანიც მოკლულია. გამოძიება სწარმოებს.

**ჰელსინგფორსი.** სეიმი არჩევდა საკითხს იმ ფულის შესახებ, რომელიც ფინლიანდიამ რუსეთს უნდა მისცეს სამხედრო ბეგრის ნაცვლად. 104 ხმის უმეტესობით 91 ხმის წინააღმდეგ სეიმმა პრინციპიალურად საჭიროდ სცნო 20 მილიონ მარკის გადადება ამ საქმისთვის. სხდომა გათავდა დილის ოთხ საათზე.

**ორენბურგი.** ჩელიაბინსკში ერთ ნოქრის სახლში აღმოაჩინეს ადგილობრივ ს.-დემოკრატების საიდუმლო ბინა. შეიპყრეს 25 კაცი, იმათ შორის გიმნაზიელი ქალი, ორი რეალისტი, სამრევლო სკოლის მასწავლებელი, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე. იპოვნეს პროკლამაცია, პარტიის წერილები და ბროშიურები.

**კიევი.** 15 ოქტომბერს ხოლერით ავად გახდა 25 კაცი, გარდაიცვალა 4, გუბერ-

…ნიაში ავად გახდა 14, გარდაიცვალა 5.

**ხარკოვი.** სუმში ავად გახდა ერთი კაცი.

**სიმბირსკი** ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1.

**კურსკი.** სუჯანის მაზრაში ავად გახდა 3.

**ომსკი.** ავად გახდა 1.

**პეტერბურგი.** სატუსაღოთა მთავარ-სამმართველოს უფროსის მაქსიმოვსკის მკვლელს ქალს, რომელიც ატარებს რაგოზინიკოვსკაიას გვარს, სასამართლომ ჩამოხრჩობა მიუსაჯა.

„ოსვედ. ბიურო" აცხადებს ოფიციალურ ცნობას ვილნოს კათოლიკეთა ეპისკოპოსის ბარონ როპის დათხოვნის შესახებ. ამ ცნობით, როპი გამოდიოდა, როგორც ორგანიზატორი კონსტიტუციონურ-კათოლიკეთა პარტიისა ლიტვასა და ბელორუსიაში. პარტიის პროგრამის ერთი ნაწილი მთავრობის საბრძოლველადაც იყო მიმართული. როპის მოქმედებამ ბოლო დროს ვიწრო ნაციონალისტური ელფერი მიიღო და ლიტველების და ბელორუსების გაპოლონელებას შეუდგა. როპს წინადადება მისცეს სხვა ადგილზე გადასულიყო, ან თავისს ნებით სამსახურიდან გადამდგარიყო. მაგრამ იმისაგან პასუხი არ მოსულა, ამიტომ როპი უმაღლესის ბრძანებით დაითხოვეს.

**პეტერბურგი.** საღამოს 6 საათზე 6 შეიარაღებული კაცი შეიჭრა იაკოვლევის სტამბაში და სროლა ასტეხა. იქ მყოფთ უბრძანეს ადგილიდან არ დაძრუდიყვნენ. კასიდან 5000 მანეთი მოიტაცეს და მიიმალნენ.

**სარატოვი.** ცარიცინში, შუა ქალაქში, დაეცნენ ფოსტის მოხელეს და ფოსტალიონს, რომელთაც ხაზინაში 10,000 მანეთი მიჰქონდათ და სროლა აუტეხეს. ფოსტალიონმა სროლითვე უპასუხა, მოხელე ფულიანად ერთ-ერთ სახლში მიიმალა. თავ-დამსხმელნი მიიმალნენ. რამდენიმე კაცი დააპატიმრეს.

**მოსკოვი.** ბუტირსკის ნაწილში თავს დაესხნენ უსახელო საზოგადოების მეარტელეს, რომელსაც 14,000 მანეთი უნდა მიეღო, მაგრამ მიღებული არა ჰქონდა. მეარტელე მოკლულია. მძარცველები მიიმალნენ.

**ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი.**

**ტამბოვი.** აირჩიეს სახ. სათ. სამი წევრი: გუადანინი, ოქტომბრისტი, მემამულე, ვოეიკოვი, ოქტომბრისტი, მემამულე, ლომანოსოვი, ოქტომბრისტი, მემამულე.

**მოგილიოვი.** არჩევნების შემდეგ ამომრჩევლებმა გაგზავნეს უქვეშევრდომილესი დეპეშა.

**ვარშავა.** ვარშავაში აირჩიეს რომანოვ-დმოვსკი, „ნაროდოვეცი". დეპუტატად ნამყოფი.

**ლოძი.** ლოძში არჩევნები არ შესდგა, რადგან ამომრჩეველთა ნახევარიც არ გამოცხადდა. ხელ-ახალი არჩევნები მოხდება 7 დღის შემდეგ.

**უ ც ხ ო ე თ შ ი.**

**17 ოქტომბერი.**

**სტამბოლი.** როგორც ელჩები იუწყებიან, მონასტირსკის ვილაიეტში პოლიტიკური მდგომარეობა ძლიერ ცუდათაა თურმე.

**18 ოქტომბერი.**

**ქრისტიანია.** მეფემ მინის ტრ-პრეზიდენტის, სახელმწიფოს თავის, დაფარვის. საერო განათლების და იუსტიციის მინისტრების სამსახურიდან გასვლაზე თანხმობა განაცხადა. მათ მაგივრად დაინიშნენ: მინისტრ-პრეზიდენტად და საგარეო საქმეთა მინისტრად ლეფლიანდი, იუსტიციის მინისტრად ნაფიცი ვექილი ბრედალი, სახელმწიფოს თავის დაცვის მინისტრად კაპიტანი დავეზი, ფინანსთა მინისტრად ხალვორსენი. ფინანსთა მინისტრად ნამყოფი ბერგე დაინიშნეს საერო განათლების მინისტრად.

**პარიზი.** პარიზის მუნიციპალიტეტმა დაადგინა, თანაგრძნობა გამოუცხადოს მაროკოში ცივილიზაციისა და გაცოდიობის დამცველ ჯარს, რომელიც ენერგიულ პროტესტს უცხადებს ანტიმილისტარისტულ საზიზღარ თეორიას.

**ლონდონი.** ბარბარე ლოპუხინის ქალის გუვერნანტკამ უთხრა რეიტერის კორესპონდენტს, რომ როცა ლოპუხინის ქალი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, თეატრიდან 30 საჟენის მანძილზე ვიყავითო. გაჩხრიკეს ლონდონის სულ ყველა საავადმყოფოები, სასტუმროები და სავაჭროები, მაგრამ კვალს ვერ მიაგნეს. ეძებდნენ საუკეთესო მძებნელები გუვერნანტკა ამბობს, რომ წერილი ლოპუხინის ქალის მიერ არის დაწერილიო.

**ვაშინგტონი.** სტატას-სეკრეტარმა პრეზიდენტის სახლში ხელ-ახლა განაცხადა, რომ ფინანსიური მდგომარეობა არსებითად გაუმჯობესდაო. მთავრობამ ნაციონალურ ბანკში 213 მილიონ დოლარზე მეტი შეიტანა.

**სტამბოლი.** გარდაიცვალა სახ. საბჭოს თავმჯდომარე საიდ-ფაშა, საგარეო საქმეთა მინისტრად ნამყოფი.

**კამპერი.** ბრესტსკის შრომის ბირჟის მდივანს ლევალს მიუსაჯეს 3 თვით საპატიმროში დამწყვდევა უქმე დღეებში ძარცვა-გლეჯა და ცეცხლის წაკიდებისადმი ხალხის მოწვევისათვის.

**ბერლინი.** ჟურნალ «ცუკუნფტ»-ს რედაქტორი მაქსიმილიანი გარდენი გაამართლეს. მას ბერლინის კომენდანტად ნამყოფი, გრაფი კუნ-ფონ-მოლტკე უჩივოდა, ცილი დამწამაო. სასამართლოს ხარჯი მოლტკეს დააკისრეს.

რედაქტორ-გამომცემელი [illegible] ბაბლიშვილი.


# განცხადებანი



1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.

**საჭიროა**

**თანამშრომელნი ორისა. 30 სქესისა**

საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ უგზავნით.

**პირველი კავკას. ამხანაგობა**

მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: **Тифлисъ, Верійскій спускъ д 15 и 5.** (100—71—73)

---

გამოვიდა და დარიგდა გასასყიდად შნიცლერის თხზულება

# ფერხული

ათი დიალოგი, ავტორის სურათით, თარგმანი ია ეკალაძე-ცინცაძისა.

წიგნი იყიდება: ტფილისში წერა-კითხვის მაღაზიაში (და ზოგიერთა სხვა მაღაზიაშიაც); ბაქოში—რევაზ ფავლენიშვილთან; გორში—არჩუაძესთან; ჭიათურაში—დეკანოზიშვილთან; ქუთაისში—წიგნის მაღაზია „იმერეთ"-ში.

ვთხოვთ ფოთისა და ბათუმის წიგნის მაღაზიებს, მიჰმართონ „იმერეთი"-ს მაღაზიაში კვიცარიძეს. სხვა ადგილებიდან უნდა მიჰმართონ წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიას ან კიროჩნი ქუჩაზედ (№ 11) ს. ბერძნიშვილს ვინც ას ცალს ნაღდად იყიდის, 30% დაეთმობა; კამისიით 20%. თითო წიგნი ღირს 30 კაპეიკად. (0—6.—3)

---

**პასუხს ვაგებთ საქონლის სიკარგისათვის!**



# კალოშებისა

და სხვა რეზინის საქონლისათვის

**უმაღლესი ჯილდო**

(GRAHD-PRIX)

პარიზის გამოფენაზე მიეცა რუსეთში მხოლოდ „რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურის ამხანაგობას", რომელიც დაარსდა 1860 წელს.

სთხოვენ მუშტარს რეზინის კალოშების ყიდვის დროს ყურადღება მიაქციონ მეპუტის ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წლისთვის „1860" და სიტყვა „ს.-პეტერბურგი", რომელიც მოთავსებულია.

ნარდად საქონლის გაჭრობა სდება სავაჭრო სახლში

# ლეოპოლდ ნეიშელლერი

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ოდესას, ეკატერინბურგს

**ტფილისში,**

დიდის რუსთაველის, ხარკოვს, ირკუტსკს, კიევს და ტუმენში.

პეტერბურგის სამეწარმეო წარმოების ამხანაგობისა.

აქვე ნარდად იყიდება **ფეხსაცმელი**

იქვე სახლები რუსეთისა და საზღვარ-გარეთელ ტყავისა. (100—75)


სტამბა „ილიანი" (მ. დ. კუჩმანისა) ნიკოლოზის ქ. № 6.